

6 თვიდან 6 წლამდე ბავშვის განვითარების მდგომარეობის შესაფასებელი ტესტის ქართული ვერსიის პირველადი სტანდარტიზაცია

თეონა ლოღია, ლუიზა არუთინოვა, სოფო დოლიძე

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ანოტაცია. წარმოდგენილი კვლევის ფარგლებში შემუშავდა ადრეულ ასაკში (6 თვიდან 6 წლამდე) ბავშვის განვითარების მდგომარეობის შესაფასებელი ინსტრუმენტის (*E-T 6-6-R Entwicklungstest für Kinder von 6 Monaten bis 6 Jahren - Revision. Petermann F. & Macha, T. 2013 Frankfurt/M.: Pearson Assessment*) ქართული ვერსია. აღნიშნული ინსტრუმენტი ბრემენის უნივერსიტეტის კლინიკური ფსიქოლოგიისა და რეაბილიტაციის ცენტრში შეიქმნა და წარმატებით გამოიყენება არა მხოლოდ გერმანულენოვან სივრცეში და სხვა ევროპულ ქვეყნებში, არამედ, აგრეთვე, იაპონიასა და თურქეთში. ამ ინსტრუმენტის ქართული ვერსიის ფსიქომეტრული მახასიათებლების შეფასებისა და პირველადი ასაკობრივი ნორმების დადგენის მიზნით ჩატარებულ კვლევაში მონაწილეობა მიიღო 2-დან 6-წლამდე ასაკის 433-მა ბავშვმა და მათმა მშობლებმა. კვლევის მონაწილე ბავშვებიდან 213 (49%) გოგონა იყო, ხოლო 220 ბიჭი (51%). შერჩევა მოიცავდა ქ. თბილისის, იმერეთისა და კახეთის რეგიონის საჯარო და კერძო ბაღების აღსაზრდელებს. მიღებული შედეგების საფუძველზე შეიძლება ითქვას, რომ ინსტრუმენტის ფსიქომეტრული მახასიათებლების, მათ შორის, სანდოობის და ვალიდობის შეფასებამ დაადასტურა, რომ ტესტის ქართულ ვერსიას აქვს საკმაოდ კარგი პოტენციალი, სანდოდ და ვალიდურად შეაფასოს სხვადასხვა ასაკის ბავშვების განვითარების დონე და თავისებურებები.

ბავშვის სიცოცხლის პირველი წლები უდიდესი მნიშვნელობისაა მისი განვითარებისათვის. ესაა ბავშვის უდიდესი შესაძლებლობებისა და, ამავე დროს, ნეგატიური გავლენების მიმართ მოწყვლადობის პერიოდი. ბავშვის ცხოვრების პირველი წლები ზრდისა და განვითარების ინტენსიური ხასიათით გამოირჩევა - რაც უფრო მცირე ასაკისაა ბავშვი, მით უფრო ინტენსიურად მიმდინარეობს ეს პროცესები. შესაბამისად, ძალზე მნიშვნელოვანია მონიტორინგის დროულად ჩატარება ბავშვის განვითარების მდგომარეობის შესაფასებლად, შესაძლო შეფერხებების დროულად განსასაზღვრად და სათანადო ინტერვენციის განსახორციელებლად. აღსანიშნავია, რომ ადრეული ბავშვობა სწორედ ის პერიოდია, როცა სხვადასხვა სახის განვითარების დარღვევის დროული იდენტიფიკაცია კრიტიკული მნიშვნელობისაა მომავალში ბავშვის მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, მისი განვითარების ხელშესაწყობად. განვითარებაში პრობლემების იდენტიფიცირება რთულია, როცა საქმე ეხება არათვალშისაცემ, ძნელად შესამჩნევ ნიშნებს. შესაბამისად, განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს სპეციალისტების მიერ ბავშვის განვითარების მდგომარეობის მრავალმხრივი და დროული შეფასება შესაბამისი ასაკისთვის განკუთვნილი სანდო და ვალიდური ინსტრუმენტის მეშვეობით.

ქართულ რეალობაში სპეციალისტებისთვის დღემდე გადაუჭრელ ამოცანად რჩება ქართულ პოპულაციაზე მორგებული, სტანდარტიზებული ფსიქოლოგიური შეფასების ინსტრუმენტების არსებობა. ამგვარი ინსტრუმენტების ხელმისაწვდომობა

ფსიქოლოგიური დიაგნოსტიკის სანდოობის ხარისხის გარანტიაა. მეორე მხრივ კი, ბავშვის მდგომარეობით დაინტერესებული სპეციალისტების თანამშრომლობას, ერთ ენაზე საუბარს უწყობს ხელს.

წინამდებარე სტატიაში წარმოდგენილია ადრეულ ასაკში (6 თვიდან 6 წლამდე) ბავშვის განვითარების მდგომარეობის შესაფასებელი გერმანული ინსტრუმენტის (E-T 6-6-R Entwicklungstest für Kinder von 6 Monaten bis 6 Jahren - Revision. Petermann F. & Macha, T. 2013 Frankfurt/M.: Pearson Assessment) ქართული ვერსიის შემუშავებისა და პირველადი სტანდარტიზაციის მიზნით ჩატარებული კვლევის შედეგები. აღნიშნული ინსტრუმენტი ბრემენის უნივერსიტეტის კლინიკური ფსიქოლოგიისა და რეაბილიტაციის ცენტრში მომზადდა და აქტიურად გამოიყენება გერმანულენოვან სივრცეში, ნათარგმნი და სტანდარტიზებულია როგორც ევროპულ ქვეყნებში, ასევე, იაპონიასა და თურქეთშიც. ET-6-6-R ობიექტურობას უზრუნველყოფს მასალის, ინსტრუქციების, ჩატარების, შეფასების, მონაცემთა დამუშავებისა და ინტერპრეტაციის სტანდარტიზებულობა. ET-6-6-R-ით მიღებული შედეგის საფუძველზე შესაძლებელია ტიპური განვითარების, განვითარების შეფერხებისა და ბავშვის ძლიერი მხარეების იდენტიფიცირება. ინსტრუმენტის გამოყენების სფეროებს, ფსიქოლოგიის გარდა, წარმოადგენს პედაგოგია და ნევროლოგია.

კვლევის მიზანია ადრეულ ასაკში ბავშვის განვითარების მდგომარეობის შესაფასებელი ინსტრუმენტის (E-T 6-6-R Entwicklungstest für Kinder von 6 Monaten bis 6 Jahren - Revision. Petermann F. & Macha, T. 2013 Frankfurt/M.: Pearson Assessment) ქართული ვერსიის შემუშავება და მისი პირველადი სტანდარტიზაცია 2 წლიდან 6 წლამდე ასაკობრივი ჯგუფებისთვის.

კვლევის ამოცანები:

- ინსტრუმენტის ქართული ვერსიის მომზადება - ინსტრუმენტის სახელმძღვანელოს თარგმნა, რედაქტირება; ინსტრუმენტის სუბტესტების ინსტრუქციების თარგმნა, უკუთარგმნა, რედაქტირება ექსპერტული შეფასების საფუძველზე;
- საპილოტე კვლევის ჩატარება და მიღებული შედეგების ანალიზის საფუძველზე დავალებების ინსტრუქციების რედაქტირება;
- ძირითადი კვლევის ჩატარება - 2 წლიდან 6 წლამდე ბავშვების შეფასება აღნიშნული ინსტრუმენტის გამოყენებით;
- ინსტრუმენტის ფსიქომეტრული მახასიათებლების დადგენა;
- თითოეული ასაკობრივი ჯგუფისთვის სტანდარტული მაჩვენებლების დადგენა;
- განვითარების სფეროებს შორის ურთიერთმიმართებების დადგენა;
- ასაკობრივი განსხვავებების გაანალიზება.

თეორიული ჩარჩო

E-T 6-6-R ეყრდნობა მომწიფების თეორიას (Plomin et al., 1993; Scarr, 1992), პიაჟეს კოგნიტური განვითარების თეორიასა და ბრონფენბრენერის ეკოლოგიურ თეორიას (Bronfenbrenner, 2006). ამასთან, ტესტი ეფუძნება განვითარების ზღვრული მაჩვენებლების კონცეფციას (Michaelis, Berger & Nennstiel-Retzl, 2013), რომელიც განვითარების საკვანძო მაჩვენებლების პრინციპის გავრცობილი ვარიანტია. ამ პრინციპის თანახმად, თუკი გარკვეული უნარი ათვისებული აქვს შესაბამისი ასაკის ბავშვების 50%-ს, ეს უნდა მივიჩნიოთ ამ უნარის ათვისების ნორმად (შდრ.: Michaelis & Haas, 1990); შესაბამისად, საკვანძო მაჩვენებლების პრინციპი ემყარება განვითარების საშუალო მაჩვენებელს, ზღვრული მაჩვენებლების პრინციპი კი მიმართულია ისეთ

უნარებზე, რომლებიც ნორმალური განვითარების ბავშვმა განსაზღვრულ ასაკში აუცილებლად უნდა აითვისოს. მიხაელისის თანახმად (2013), ზღვრული მაჩვენებლების პრინციპი ისეთ უნარებს შეეხება, რომელთა ათვისება შესაძლებელია საგანგებო დახმარების გარეშე და დაკვირვებადია ბავშვის ყოველდღიურ ცხოვრებაში. სწორედ ამ მიდგომას ეფუძნება ET-6-6-R-ის ტესტი, რომელიც, ამასთან ერთად, ითავლისწინებს სტანდარტიზებული სატესტო მასალის გამოყენების უპირატესობებსაც.

კვლევის მონაწილეები

კვლევაში მონაწილეობა მიიღო 2-დან 6-წლამდე ასაკის 433-მა ბავშვმა. მათგან 213 (49%) გოგონა იყო, ხოლო 220 ბიჭი (51%). კვლევაში მონაწილეობდნენ მათი მშობლებიც.

ცხრილი N1. განაწილება ასაკის მიხედვით

	რაოდენობა	%
24-30 თვე	68	15.7%
30-36 თვე	73	16.9%
36-42 თვე	74	17.1%
42-48 თვე	70	16.2%
48-60 თვე	74	17.1%
60-72 თვე	74	17.1%
ჯამი	433	100.0%

შერჩევა მოიცავდა როგორც ქ. თბილისის, ასევე, იმერეთისა და კახეთის რეგიონების საჯარო და კერძო ბაღების აღსაზრდელებს.

კვლევის ინსტრუმენტი

ჩვენ მიერ გამოყენებული განვითარების შესაფასებელი ტესტი 6 თვიდან 6 წლამდე ასაკის ბავშვებისთვის (ET-6-6-R T. Macha, F. Petermann, 2013) მოიცავს ბავშვის განვითარების შემდეგ 5 სფეროს:

- მსხვილი მოტორიკა (KM)
- ნატიფი მოტორიკა (HM)
- კოგნიტური სფერო (KOG)
- მეტყველების განვითარება (SPR)
- სოციო-ემოციური სფერო (SEM)

კოგნიტური და მეტყველების განვითარება, ისევე, როგორც მოტორიკის განვითარება ფასდება უშუალოდ ტესტირების პროცესში, ხოლო სოციალურ-ემოციური სფერო - მშობლისგან მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით, კერძოდ, მშობლის მიერ შევსებული კითხვარის საფუძველზე. ეს სტრუქტურა იდენტურია ყველა ასაკობრივ ჯგუფში და წარმოდგენილია ასაკის შესატყვისი, რელევანტური დავალებებით, რასაც 42 თვიდან ემატება ე. წ. „გადახატვის სუბტესტი“ (UTN). საერთო ჯამში ET -6-6 R შედგება:

- 166 ტესტური დავალებისგან,
- მშობლის კითხვარისგან, რომელიც მოიცავს 79 დებულებას.

ტესტირების პროცესში, ბავშვის მიერ გამოვლენილი ქცევის შესაბამისად, მკვლევარი ხუთქულიან სკალაზე (5-მალიან კარგი, 4-უპრობლემო, 3-მსუბუქად შეფერხებული, 2-პრობლემური და 1- ჩავარდნა) აფასებს ბავშვის მოტივაციას, კონცენტრაციას/ყურადღებას, სოციალურ ინტერაქციას, მეტყველების გაგებასა და კუნთურ ტონუსს.

კვლევის როგორც საპილოტე, ასევე ძირითად ეტაპზე გამოყენებულია ტესტის ქართულენოვანი ვერსია, რომელიც მომზადდა ორიგინალის თარგმნის, უკუთარგმანის პროცესის განხორციელების და ექსპერტთა მიერ საბოლოო რედაქტირების საფუძველზე.

კვლევის შედეგები

ინსტრუმენტის ქართული ვერსიის ფსიქომეტრული მახასიათებლები

ობიექტურობა

ინსტრუმენტის ობიექტურობა გულისხმობს ტესტირების მიუკერძოებელ (ა) ჩატარებას, (ბ) შეფასებასა და (გ) ინტერპრეტაციას. ET 6-6-R სტანდარტიზებული ტესტია, რაც იმას ნიშნავს, რომ ის სანდო და ვალიდურია, მისი ჩატარებისას კი დაცულია შემდეგი პირობები:

- მასალა: მკვლევარი იყენებს მკაცრად განსაზღვრულ სატესტო მასალას;
- დავალები და ინსტრუქციები: თითოეული დავალების ჩატარების პროცესი დეტალურადაა აღწერილი, მკაფიოდ ფორმულირებული ინსტრუქციების საფუძველზე;
- დავალების შეფასება: მკვლევრის განკარგულებაშია ბავშვის პასუხების/აქტივობების შესაფასებელი ზუსტი აღწერილობები.
- საერთო შეფასება: განვითარების პროფილის შედგენა ცალსახად ფორმულირებული შეფასების წესების საფუძველზე მიმდინარეობს. გადახატვის სუბტესტის შეფასება მიმდინარეობს სტანდარტიზებული კრიტერიუმების მიხედვით, შაბლონის დახმარებით.
- ინტერპრეტაცია: ნედლი ჯამური ქულების სტანდარტიზებულ კოეფიციენტში გადაყვანა შესაძლებელს ხდის სამ კატეგორიაზე დაფუძნებულ ინტერპრეტაციას, კერძოდ, განვითარების არსებული მდგომარეობის, მისი მიმდინარეობისა და სამომავლო რისკების გათვალისწინებით.

ჩატარების პროცესის ობიექტურობაზე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ბავშვის ყურადღება და მზაობა, სათანადოდ შეასრულოს დავალები. ტესტირების პროცესით ნაკლებად დაინტერესებული ბავშვების ყურადღება იოლად გადაინაცვლებს სხვა აქტივობაზე, ხშირად დაბალია დავალებების შესრულების მზაობაც. ასეთ დროს ბავშვები განსაკუთრებულ მოტივირებას საჭიროებენ. ამიტომ აუცილებელია ტესტირების პროცესის მაქსიმალურად მისადაგება ბავშვის საჭიროებებზე. ამ მხრივ ET 6-6-R-ის მნიშვნელოვანი უპირატესობა აქვს - მიმზიდველი მასალისა და მრავალფეროვანი პროცედურის დახმარებით შედარებით იოლია რთულად სამართავი ბავშვის მოტივირება და შეფასების პროცესის წარმატებით დასრულება. იშვიათია ბავშვების მიერ ცალკეულ დავალებასა ან მთლიანად შეფასების პროცესზე უარის თქმა. ტესტირების ხანგრძლივობა განსხვავებულია სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფში. ტესტირების დროის საშუალო ხანგრძლივობა ქართული ვერსიის შემთხვევაში, ისევე, როგორც გერმანული ვერსიის შემთხვევაში, ასაკის მატებასთან ერთად იზრდება (იხილეთ ცხრილში N3) როგორც დავალებების სირთულის, ასევე მათი რაოდენობის ზრდის შესაბამისად.

ცხრილი N3. ტესტირების პროცესის საშუალო ხანგრძლივობა ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით ქართულ ვერსიაში:

ასაკობრივი ჯგუფი	24-30	30-36	36-42	42-48	48-60	60-70
ხანგრძლივობა (წუთებში)	30	35	45	48	50	55

შეფასების ობიექტურობა გულისხმობს ცალკეული დავალებების შეფასებას და, შესაბამისად, ტესტის ჯამური ნედლი ქულის განსაზღვრას თითოეული სკალისთვის, შემდეგ მათ გადაყვანას განვითარების კოეფიციენტში და ბოლოს განვითარების პროფილში ჩართვას. ET-6-6-R-ს აქვს შეფასების ზუსტი კრიტერიუმები **თითოეული დავალებისათვის**; ხოლო **ნედლი ქულების** გამოანგარიშება ხდება შესრულებული დავალებების რაოდენობისა და მშობლის კითხვარში „დიახ“ პასუხების რაოდენობის საფუძველზე. **განვითარების კოეფიციენტი** გამოითვლება კვლევის შედეგად შემუშავებული ცხრილების გამოყენებით, ხოლო ამ შედეგების განვითარების პროფილში ასახვა იოლი და ცალსახა პროცედურის საფუძველზე ხდება.

შედეგების ინტერპრეტაციის ობიექტურობა უზრუნველყოფილია განვითარების კოეფიციენტის გამოთვლის სტანდარტიზებული წესით. სტანდარტიზებული ქულების გამოყენება შესაძლებელს ხდის, რომ ბავშვის შედეგი დაანგარიშდეს მისივე ასაკობრივი ჯგუფის ტიპური შესრულების მაჩვენებელზე დაყრდნობით. განვითარების კოეფიციენტები ეფუძნება შერჩევაში მონაწილე ბავშვების ემპირიული შედეგების ნორმალურ განაწილებად ტრანსფორმირებას (ნორმირებას) და წარმოაჩენს შედეგს, როგორც დაშორებას ასაკის შესაბამის საშუალო მაჩვენებლისგან. ნორმირების შედეგად შესაძლებელი გახდა განვითარების კოეფიციენტების შესაბამისი პროცენტული რანგებისთვის მისადაგება. ET-6-6-R-ში გამოიყოფა შეფასების 3 მკაფიოდ დეფინირებული კატეგორია: „არადეფიციტური სფერო“, ე. წ. ნორმა - განვითარების კოეფიციენტი (EQ) 7-ზე მეტია, ხოლო პროცენტული რანგი მეტია 15,9-ზე; „რისკის ზონა“ - განვითარების საერთო კოეფიციენტი 5-დან 7-მდეა, ხოლო პროცენტული რანგი 2,3-ზე მეტია და 15,9-ზე ნაკლები; „მნიშვნელოვანი (გამოხატული) დეფიციტი“ - განვითარების კოეფიციენტი 4-ის ტოლია ან 4-ზე დაბალია, ხოლო პროცენტული რანგი მაქსიმუმ 2,3-ის ტოლია.

სანდოობა

ინსტრუმენტის სკალების სანდოობის დასადგენად გამოვიყენეთ შინაგანი შეთანხმებულობის კოეფიციენტი – კრონბახის ალფა, რომლის მაჩვენებლები ასაკობრივი კატეგორიების მიხედვით წარმოდგენილია ცხრილში N4. როგორც ცხრილიდან ჩანს, ET-6-6-R-ის ყველა სკალისათვის შინაგანი შეთანხმებულობის მაჩვენებელი საშუალო ან საშუალოზე მაღალია. შინაგანი კონსისტენტურობის მაჩვენებლები მნიშვნელობათა იმ დიაპაზონში თავსდება, რომელიც ჰეტეროგენულ სკალებს შეესაბამება. ლინერტისა და რატცის (1998; გვ.202) მიხედვით, აქ მოცემულია ე. წ. მინიმალური სანდოობის მაჩვენებლები, ჭეშმარიტი სანდოობა უფრო მაღალი უნდა იყოს.

ცხრილი N4. სკალების შინაგანი შეთანხმებულობის მაჩვენებლები (კრონბახის ალფა) ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით):

	24-30 თვე	30-36 თვე	36-42 თვე	42-48 თვე	48-60 თვე	60-72 თვე

KM (მსხვილი მოტორიკა)	0.52	0.54	0.55	0.42	0.58	0.64
HM (ნატიფი მოტორიკა)	0.63	0.64	0.67	0.62	0.64	0.60
KOG (კოგნიტური განვითარება)	0.79	0.62	0.44	0.57	0.78	0.66
SPR (მეტყველება)	0.47	0.52	0.52	0.49	0.55	0.50
SEM (სოციოემოციური განვითარება)	0.73	0.78	0.64	0.68	0.49	0.63
UTN (გადახატვა)				0.64	0.79	0.74

სანდოობის დამატებითი შეფასებისთვის წარმოდგენილია ცხრილი N5, რომელშიც, ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით, მოცემულია გაზომვის სტანდარტული შეცდომის მაჩვენებლები. გაზომვის სტანდარტული შეცდომის გათვალისწინებით შესაძლებელია განვითარების კოეფიციენტის სანდოობის ინტერვალის (დიაპაზონის) გამოთვლა.

ცხრილი N5. სკალების გაზომვის სტანდარტული შეცდომა ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით:

	24-30 თვე	30-36+ თვე	36-42+ თვე	42-48 თვე	48-60 თვე	60-72 თვე
KM	0.98	1.09	1.32	0.81	1.33	1.12
HM	1.15	1.38	1.96	1.39	1.54	0.96
KOG	1.02	0.97	0.84	2.36	4.25	3.14
SPR	1.13	1.25	1.14	0.70	0.73	0.53
SEM	1.87	1.75	1.57	2.76	2.36	2.57
UTN				4.53	7.33	5.87

მოცემული შედეგების მიხედვით, გაზომვის სტანდარტული შეცდომა შედარებით მაღალია გადახატვის სუბტესტის შემთხვევაში, რაც ამ სუბტესტის შეფასების კრიტერიუმების გადახედვის საფუძველს იძლევა.

ვალიდობა

ET-6-6-R-ის ვალიდობის საკითხს განვიხილავთ შინაარსობრივი და კონსტრუქტული ვალიდობის კონტექსტში.

შინაარსობრივი ვალიდობა

ET-6-6-R-ის სკალების შინაარსობრივი სტრუქტურა შეესაბამება განვითარების ზოგადი დიაგნოსტიკისათვის განკუთვნილი ტესტების შინაარსობრივ სტრუქტურას. უნდა აღინიშნოს, რომ ამგვარი ფართო სპექტრის ტესტები, როგორც წესი, ერთსა და იმავე უნარებს აფასებს, ჩვეულებრივ, ესენია: მსხვილი და ნატიფი მოტორიკა, კოგნიტური განვითარება, მეტყველება, სოციალურ-ემოციური სფერო. შესაბამისად, მოცემული ტესტის შინაარსი შეესაბამება ბავშვთა კლინიკური ფსიქოლოგიისა და განვითარების ნევროლოგიის ტიპურ საკვლევ სფეროებს, სწორედ იმ სფეროებს, რომლებიც, ასევე, ასახულია განვითარების დარღვევების ICD-10-ის კლასიფიკაციაშიც:

- **მსხვილი მოტორიკა:** მოტორული უნარების სპეციფიკური დარღვევები (F82)
- **ნატიფი მოტორიკა:** მოტორული უნარების სპეციფიკური დარღვევები (F82)
- **კოგნიტური განვითარება:** სასკოლო უნარების დარღვევები (F81), გონებრივი დარღვევები (F7)

- **მეტყველების განვითარება:** ენისა და მეტყველების განვითარების დარღვევები (F80)
- **სოციალურ-ემოციური განვითარება:** ემოციური და ქცევითი დარღვევები ბავშვობისა და მოზარდობის ასაკში (F90)

ნატიფი მოტორიკის სხეულის მოტორიკისაგან დიფერენცირებული შეფასება დასაბუთებულია ცენტრალურ ნერვულ სისტემაში მრავალი სპეციფიკური მაკონტროლებელი უბნის არსებობით (როგორებიცაა მოტორული კორტექსის სილრმისეული უბნები), და, ასევე, მათი უაღრესად დიდი მნიშვნელობით ყოველდღიურ ცხოვრებაში, განსაკუთრებით კულტურით განპირობებული ტექნიკების ასათვისებლად. შესაბამისად, ამგვარი დაყოფა აბსოლუტურად გამართლებულია.

ტესტური დავალებები და მშობლის კითხვარის დებულებები არ არის კლინიკურ სურათზე ორიენტირებული, არამედ მიმართულია *ნორმალური განვითარების შესატყვის უნარებსა და აქტივობებზე*. ET 6-6-R ორიენტირებულია არადეფიციტურ განვითარებაზე. შესაბამისად, დავალებების შინაარსი გარკვეულწილად კულტურით არის განპირობებული (მაგ., ფანქრის გამოყენება), მაგრამ ამავე დროს ისინი, მათი მრავალფეროვანი, დაბალანსებული და რეპრეზენტატული ხასიათის გამო, მიმართულია განვითარების რელევანტური სფეროების შეფასებაზე და, შესაბამისად, მკაფიოდ გამოარჩევს განვითარების საფეხურებს. ამასთან, ბევრი დავალება მიმართულია ნორმალური განვითარების შესაბამისი საფეხურების ზღვრული მაჩვენებლების შეფასებაზე. ზემოთქმულიდან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ ET 6-6-R, როგორც ფართო სპექტრის განვითარების ტესტის შინაარსობრივი ვალიდობა სრულად არის უზრუნველყოფილი.

კონსტრუქტული ვალიდობა

მოცემული ინტრუმენტის სკალები იმგვარად არის სტრუქტურირებული, რომ უზრუნველყოფილია სკალათა ურთიერთდამოუკიდებლობა. სკალებს შორის გამოთვლილია პირსონის რანგული კორელაციის კოეფიციენტები, მონაცემები დაანგარიშებულია განვითარების კოეფიციენტის გათვალისწინებით, რომლის საშუალოა 10, ხოლო სტანდარტული გადახრა 3. სკალებს შორის კორელაცია დათვლილია ასაკობრივი კატეგორიების მიხედვით.

სკალებს შორის არსებული კორელაციები განსხვავებულია. ყველაზე მაღალია კავშირი ფიქსირდება ნატიფ მოტორიკასა და კოგნიტურ განვითარებას შორის (მინიმალური მაჩვენებელი $r=.30$, მაქსიმალური მაჩვენებელი $r=.54$ $p<0.01$), კოგნიტურ განვითარებასა და მეტყველების უნარს შორის (მინიმალური მაჩვენებელი $r=.37$, მაქსიმალური მაჩვენებელი $r=.54$ $p<0.01$), რაც შეესაბამება ტესტის კონსტრუირების ამოსავალ ჰიპოთეზას, რომლის მიხედვითაც ინსტრუმენტის სკალები ჰეტეროგენულ კონსტრუქტებს წარმოადგენს და მათ შორის მაღალი კორელაცია არ უნდა იყოს. როგორც მოსალოდნელი იყო, გადახატვის სუბტესტის კორელაცია სხვა სკალებთან დაბალია, ეს შედეგი აიხსნება ამ სუბტესტის სპეციფიკური შინაარსით და ადასტურებს მოცემული სკალის დამოუკიდებლობას. თუმცა მისი კავშირი ნატიფ მოტორიკასთან (მინიმალური მაჩვენებელი $r=.26$, მაქსიმალური მაჩვენებელი $r=.55$, $p<0.01$) და კოგნიტურ სფეროსთან (მინიმალური მაჩვენებელი $r=.41$, მაქსიმალური მაჩვენებელი $r=.49$ $p<0.01$) შედარებით მაღალია. ამასთან, აღსანიშნავია, რომ ასაკის მატებასთან ერთად კორელაციის კოეფიციენტი გადახატვის სუბტესტის მაჩვენებელსა და ნატიფ მოტორიკასა თუ კოგნიტურ განვითარებას შორის იზრდება, რაც ასაკის მატებით

გამოწვეულ კოგნიტურ თუ მოტორულ მომწიფებასთან ამ სფეროებს შორის კანონზომიერ კავშირზე მიგვანიშნებს.

ET 6-6-R-ის ცალკეული დავალებების სირთულე ასაკობრივი ჯგუფის ზრდის შესაბამისად იცვლება, ანუ რაც უფრო იზრდება ასაკი, მით უფრო მეტ ბავშვს შეუძლია მოცემული დავალების დაძლევა, რაც შეესაბამება განვითარების ტესტების დავალებათა მიმართ წაყენებულ ცენტრალურ კრიტერიუმს.

ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით, შეგვიძლია დავასკვნათ ET 6-6-R-ის ცალკეულ დავალებები შეესაბამება განვითარების შესაფასებელი ტესტის ვალიდობის მიმართ წაყენებულ ცენტრალურ კრიტერიუმებს (შდრ.: Filipp & Doenges, 1983).

კვლევის განსაკუთრებული ღირებულებაა ის, რომ ყველა ასაკობრივი ჯგუფისთვის შემუშავდა ინსტრუმენტის თითოეულ სუბტესტში მიღებული ნედლი ქულის სტანდარტულ მაჩვენებელში გადაყვანის ცხრილი. თითოეულ სუბტესტში მიღებული ნედლი ქულის სტანდარტულ მაჩვენებელში გადაყვანის შემდგომ იქმნება ბავშვის განვითარების პროფილი, რომელიც საშუალებას იძლევა თითოეული სფეროსა და ასაკობრივი ასაკობრივი ჯგუფისთვის განისაზღვროს განვითარებისთვის კლინიკურად რელევანტური კატეგორიები „ნორმა“, „რისკის ზონა“, „განვითარების მნიშვნელოვანი (ღრმა) დეფიციტი“.

ამრიგად, შეიძლება თამამად ითქვას, რომ ET 6-6-R-ის წარმოდგენილი ქართული ვერსია, მისი შინაარსისა და სტრუქტურის მახასიათებლები, სანდოობის, ობიექტურობისა და ვალიდურობის მაჩვენებლები სრულად აკმაყოფილებს განვითარების შესაფასებელი ტესტის მიმართ წაყენებულ საკვანძო მოთხოვნებს. მოყვანილი მონაცემები ადასტურებს, რომ ET 6-6-R-ის ქართულ ვერსიას აქვს პოტენციალი, სანდოდ და ვალიდურად შეაფასოს ადრეული ასაკის ბავშვის განვითარება. ქართულ რეალობაში სტანდარტიზებული ინსტრუმენტების დეფიციტის ფონზე, ET 6-6-R-ის ქართული ვერსია მნიშვნელოვანი დასაყრდენი იქნება პრაქტიკოსებისთვის ადრეულ ეტაპზე ბავშვის განვითარებაში სირთულეების იდენტიფიცირებისა და, შესაბამისად, დროული ინტერვენციის დასაგეგმად.

გამოყენებული ლიტერატურა

1. Filipp, S. H. & Doenges, D. (1983). Entwicklungstests. In K. J. Groffmann & L., Michel (Hrsg.), Intelligenz und Leistungsdiagnostik. Göttingen: Hogrefe.
2. Lienert, G.A. & Raatz, U. (1998). Testaufbau und Testanalyse (6.Aufl.). Weinheim. Psychologie Verlags Union.
3. Michaelis, R. & Haas, G. (1990). Meilensteine der frühkindliche Entwicklung – Entscheidungshilfen für die Praxis. Öffentliches Gesundheitswesen.
4. Michaelis, R., Berger, R. & Nennstiel-Ratzel, U. (2013). Validierte und teilvalidierte Grenzsteine. Monatsschrift Kinderheilkunde.
5. Petermann F. & Macha, T. (2013). E-T 6-6-R Entwicklungstest für Kinder von 6 Monaten bis 6 Jahren – Revision. Frankfurt/M.: Pearson Assessment.
6. Petermann F. & Macha, T. (2008) Developmental Assessment. Journal of Psychology.